Резюме: Рассмотрена технология изготовления труб из фибробетона. Предложена методика определения их размеров. Расчет действующих нагрузок выполнен на примере трубы конкретных размеров. Установлено, что полученные данной технологией трубы можно использовать в дорожном строительстве.

Ключевые слова: фибробетон; сечение трубы; нагрузка; напряжение.

მიღებულია დასაბუქდად 16.06.10

შაპ 669.4

ლითონის რაცინირება წილის მეშვეობით

ც. გეგუჩაძე*, ნ. ხელაძე, დ. ქირია, ნ. თევდორაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის 59

E-mail: ciurigeguchadze@mail.ru

რეზიუმე: სილიკონგანუმის გამოდნობის პროცესში ნარჩენების ჭარბი რაოდენობა წარმოიქმნება, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე ძირითადი პროდუქტი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გამოყენებას. შესრულებული სამუშაოს მიზანია სილიკონგანუმის გამოდნობისას არსებული ნარჩენების, კერძოდ, ციცვების ქერქის პნევმატიკური მეთოდით გამდიდრება. სილიკონგანუმის წარმოებისას წილის სახით იკარგება 10–15% მანგანუმი, მათ შორის 7–8% ჩამოყალიბებული ლითონის სახით (ლითონის ნატეხები და წვეთები). ექსპრიმენტულად დადგენილია, რომ სილიკონგანუმის განფორმულებაზე წილის ქერქის ეფექტურად მოქმედი ფრაქციული შედგენილობა 5–40 მმ ფარგლებშია. 5 მმ-ზე ნაკლები წილის ქერქის ხმარებისას ხდება მათი სწრაფი ამოტივტივება ლითონის ზედაპირზე, რის გამოც იკლებს განფორმულების ხარისხი. 40 მმ-ზე მეტი ფრაქციის წილის ქერქები ნაკლებად იხსნება თხევად ლითონში, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც სილიკონგანუმის განფორმულების ხარისხზე, ისე ლითონზე ჩანართების გადასვლაზე თხევად მდგომარეობაში.

საკანონო სიტყვები: სილიკონგანუმი; წილა; რაფინირება; პნევმატიკური სეპარაცია; განფორმულება.

1. შესავალი

სილიკონგანუმი კომპლექსური განვანგველია, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფოლადების გამოდნობისათვის. მანგანუმიანი ფეროშენადნობების ლითონთერმული წარმოებისას წარმოიქმნება დიდი რაოდენობის ნარჩენები მტვრის, აირების და წილების სახით.

ნორმალურად მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი მაჩვენებლებია: 1) გამოდნობისას მოცემული ხარისხის შენადნობის მიღება ოპტიმალური მაჩვენებლის პირობებში; 2) ელექტროდებზე თანაბარი დენური დატვირთვა; 3) ლითონისა და წილის თანაბარზომიერი გამოსავლიანობა ყოველი გამოშვებისას ღუმელში ჩატვირთული

კაზმის წონისა და დახარჯული ელექტროგნერგიის შესაბამისად.

მიუხედავად დადგენილი ტექნოლოგიური მეთოდების დაცვისა, სილიკონგანუმის გამოდნობისას წილაში, ფუჭი ქანების გარდა, გადადის აღსადგენი ელემენტებიც – მანგანუმი და კაჟბადი, ამიტომ მრავალრიცხვანი სამუშაოა შესრულებული სილიკონგანუმის გამოდნობისას აღსადგენი ელემენტების უდანაკარგოდ მიღებასა და უნარჩენო ტექნოლოგიების შეუშავებაზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგჯერ სილიკონგანუმის წარმოება ვერ აქმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს და საჭირო ხდება კაზმის შედგენილობის შეცვლა, რის გამოც სილიკონგანუმის გამოდნობის პროცესში წარმოიქმნება ნარჩენების ჭარბი რაოდენობა, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე ძირითადი პროდუქტი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ნარჩენების გამოყენებას.

2. ძირითადი ნაწილი

შესრულებული სამუშაოს მიზანია სილიკონგანუმის გამოდნობისას არსებული ნარჩენების, კერძოდ, ციცვების ქერქის პნევმატიკური მეთოდით გამდიდრება. სილიკონგანუმის წარმოებისას წილის სახით იკარგება 10–15% მანგანუმი, მათ შორის 7–8% ჩამოყალიბებული ლითონის სახით ნატეხები და წვეთები.

ლითონის სახით არსებული მანგანუმის ამოდება წილიდან შესაძლებელია მაგნიტური და ჰაერის შებერვის სეპარაციის მეშვეობით. ურალის შავი ლითონების კვლევითი და მყარი საწვავების გამდიდრების ინსტრუმება შეიმუშავა წილიდან ლითონის ამოდების ტექნოლოგია პნევმატიკური სეპარაციით, რომელიც განხორციელდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში [1-3].

ციცვებიდან გადმოყრილ წილის ქერქს ამსხვრუებ 5–10-ტონიანი სიმძიმის ფოლადის ბირთვებით, რომელიც მაგნიტური ამწიდან ვარდება. მოედანზე დაკრილი დამსხვრუებილი წილების ზომა 40 მმ-ია. მიღებული მასალების პირველადი დამსხვრევა ხდება საშუალო მსხვერევის პირაპირუებებიანი ტიპის მსხვრუებათი. ორი დამოუკიდებლად მოქმედი

მსხვრეულა საშუალებას იძლევა, ყოველგვარი საფრთხის გარეშე, მოხდეს არამუშამდგომარეობაში მყოფი ნამსხვრევების ხვიმირში ჩატვირთვა. ხვიმირში მოთავსებული მასალების გადამუშავება ხდება $\approx 60 - 70\%$ -ში, რაც შეესაბამება 100 ათას ტ/წ. წარმადობას. მსხვრეულას ტექნიკური მონაცემებისა და დასამსხვრევი მასალის მიხედვით, ებათა შორის დაცილების მანძილი 35 მმ ხდება, რაც განაპირობებს, რომ დამსხვრეული მასალის არანაკლებ 75% 0–10 მმ ზომისაა.

პირველადი დამსხვრევის შემდეგ მასალა მიუწოდება შემკრებ ლენტურ კონვეიერზე, რომლის ქვემოთ მოთავსებულია მაგნიტური სეპარატორი, რომლის დანიშნულებაა მასალიდან გამოაცალებელს რეინის საგნები, რათა დანადგარი არ დაზიანდეს. რეინის საგნების მოცილების შემდეგ მასალის ნაკადი მიეწოდება ინერციულ საცერზე, რომელსაც ერთი დამცავი და ერთი გამცრელი ზედაპირი აქვს 40 მმ ნახვრებით. საცრის ზედაპირზე დარჩენილი მასალა (40 მმ ფრაქცია) მიეწოდება COD-1200-ის ტიპის კონუსურ მსხვრეულას, რომლის ყბებს შორის დაცილება 22–25 მმ-ია. აღნიშნულ მსხვრეულაში ხდება მასალის ხელისალი დამსხვრევა და მიიღება არანაკლებ 95% 35 მმ-იანი ფრაქციის მასალა. ეს დამსხვრეული მასა ლენტური კონვეიერით მიეწოდება პნევმატიკური სეპარაციის ხვიმირში, რომელიც მისი სიმკვრივის მიხედვით ახდენს მასალის გამდიდრებას მექანიკური რხევისა და შემხვედრი პაკრის ნაკადის საშუალებით. განივი მიმართულებით მასალა მიედინება 5–11⁰ დახრილობით, ხოლო განმკვეთი მიმართულებით დახრილობა – 4–7⁰-ია. ვენტილატორით სეპარატორში პაერი მიეწოდება 1–5 ჰ სიხშირით. მსუბუქი წილის ნამსხვრევები მიედინება პაერის ზემოთ, ხოლო მმიე 70–75% მოცულობით ლითონური კონცენტრატი მიედინება ქვემო ნაწილში და მათი ჩატვირთვა ხდება სხვადასხვა ხვიმირში. მზა პროდუქცია ლითონური კონცენტრატისა და წვრილფრაქციული წილის სახით იყრება ხვიმირებში, საიდანაც ხდება მათი ჩატვირთვა რეინიგზის ვაგონებში.

ლაბორატორიულ ცდებში გამოყენებულ იქნა 3 მმ ზომის სილიკომანგანუმის წილის ქერქი 20,7% ლითონის შემცველობით. მიიღება კონცენტრატი, რომელიც 97% სილიკომნგანუმსა და 0,3% წიდას შეიცავს, კონცენტრატში ლითონი 99,7%-ია. საწარმოო დანადგარზე, რომლის კუთრი წარმადობა 3,2 ტ/მ³-ია, ლითონის ამოდება წილის ქერქიდან 95,5–97,7%-ია. ლიტერატურული მონაცემებით, წილის ქერქიდან ლითონის ამოდების ზემოთ აღნიშნული ხერხი არასრულყოფილია

როგორც ლითონური ჩანართების ამოკრეფის მხრივ, ასევე მიღებული პროდუქციის სისუფთავის თვალსაზრისითაც (მიყვება წიდა). პროცესი მოიხსენებს სპეციალური დანადგარის მონტაჟს და ექსპლუატაციისათვის დამატებით ხარჯებს.

ჩვენი სამუშაოსათვის ცდები, სილიკომანგანუმის რაფინირების მიზნით, ჩატვირთვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის №4 საამქროში.

სამუშაოს მიზნია, დუმლის წარმადობის გაზრდის მიზნით, გამოშვებულ თხევად ლითონური სილიკომანგანუმის დეფოსფორიზაციის ხარისხის ამაღლება და ლითონურ კონცენტრატში არსებული სილიკომანგანუმის ჩანართების განხავება, რაც თავისთავად მიღებული ლითონის თვითდირებულების შემცირებას იწვევს.

სამუშაოს ტექნოლოგიური სქემა ასეთია: ციცხეში აღრე გამოშვებული ლითონის ჩამოსხმისთანავე ხდება ლითონური კონცენტრატის ჩატვირთვა, რომელიც წინასწარა ფრაქციონირებული 5–40 მმ საზღვრებში. ლითონური კონცენტრატი ცხელიციცხებში იტენირება გადასამუშავებელი 2–10% სილიკომანგანუმის სახით.

მომზადებულ ციცხეში ხდება ლითონის გამოშვება. გამოყენებული სილიკომანგანუმის წილის ქერქის შედგენილობა %-ში შემდეგია: Mn 5–23; MnO 14–30; SiO₂ 34–47; CaO 7–17; MgO 2–3; Al₂O₃ 3–9; FeO 13–30; P 0,09–0,25; SiC 0,2–0,6.

ციცხეში დუმლიდან გამოშვებული სილიკომანგანუმი რეაგირებს ციცხეში მოთავსებულ სილიკომანგანუმის დამსხვრეულ ქერქზე, რაც იწვევს ლითონიდან ფოსფორის გადასვლას წიდაში.

ცდების შედეგად დადგენილი ეფექტურად მოქმედი ქერქის რაოდენობა გამოშვებული ლითონის რაოდენობის 2–10%-ია. 2%-ზე ნაკლები რაოდენობის გამოყენებისას არ ხდება ფოსფორის გადასვლა წიდაში, ხოლო 10%-ზე მეტი რაოდენობის შევანა ტექნოლოგიურად არ არის გამართლებული, ვინაიდან ხდება გამოშვებული ლითონის შესამნევი გაცივება, რის შედეგადაც იკლებს განფოსფორების ხარისხი და მნელდება ლითონის ჩამოსხმა. განფოსფორებისა და ლითონური ჩანართების სილიკომანგანუმში გადასვლის ოპტიმალური პარამეტრების მიების შედეგები მოცემულია ცხრილში (მრიცხველი – ფოსფორის რაოდენობა სილიკომანგანუმში, როცა ქერქი ჩაჭრილი იყო ცხელ ციცხეში; მნიშვნელი – ფოსფორის რაოდენობა სილიკომანგანუმში, როცა ქერქი ჩაჭრილი იყო ციცხეში). როგორც ცხრილიდან ჩანს, ციცხეში ქერქის ჩატვირთვის ოპტიმალურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს 5–40 მმ ზომისა და 5–10% რაოდენობის ჩატვირთვა.

**ციცხვში ლითონური კონცენტრატის
ჩატგირთვის ოპტიმალური გარიანტის შერჩევა**

მაჩვენებელი	არაბეჭდი	სილიკომანგანუმის დეფოსფორიზაცია							
		ცდის შედეგები							
ციცხვის ფსკერზე ჩატგირთული ქერქის რაოდენობა, %	-	1,5	2,0	5,0	5,0	5,0	10,0	10,5	
ქერქის ფრაქციული შედეგნილობა	-	5,40	5,40	5,00	5,40	5,00	5,40	5,40	
ფოსფორის შემცველობა სილიკომანგანუმში, %	0,38	<u>0,37</u> 0,38	<u>0,34</u> 0,37	<u>0,37</u> 0,38	<u>0,35</u> 0,36	<u>0,29</u> 0,36	<u>0,32</u> 0,36	<u>0,36</u> 0,30	

3. დასკვნა

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ სილიკომანგანუმის განფოსფორებაზე წილის ქერქის ეფექტურად მოქმედი ფრაქციული შედეგნილობა 5–40 მმ ფარგლებშია. 5მმ-ზე ნაკლები წილის ქერქის ხმარებისას ხდება მათი სწრაფი ამოტივ-ტივება ლითონის ზედაპირზე, რის გამოც იკლებს განფოსფორების ხარისხი. 40 მმ-ზე მეტი ფრაქციის წილის ქერქები ნაკლებად ისხნება თხევად ლითონში, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც სილიკომანგანუმის განფოსფორების ხარისხზე, ისე ლითონური ჩანართების გადასჭლაზე თხევად მდგომარეობაში.

აღსანიშნავთ, რომ წილის ციცხვში ჩატგირთვა ხდება ციცხვიდან ლითონის ჩამოსხმისთანავე. ამ შემთხვევაში ხდება წილის ნამსხვრევების გახურება იმ დონეზე, რომ ის ეკვრება ციცხვში

ჩამოსხმის შემდეგ ჩარჩენილ ლითონს ან წილას, რაც ხელს უწყობს მის გალვობასა და სრულად რეაგირების პროცესს. ამ ფაქტორების მოქმედება ექსპერიმენტულად არის დადასტურებული.

ლიტერატურა

- Хитрик С.И. и др. Электрометаллургия марганцевых ферроплавов. Киев: Техника, 1981.- 186 с.
- Шабунов Б.А., Кунаев А.М., Илиев А.А. Термодинамические свойства фосфора в жидкких металлических сплавах.- В сб. "Химия и химическая технология". Алма-Ата, вып. 13, с. 288-233.
- Dragomir Jonn. Short-range ordering in liquid ironphosphorus alloys. "Expert Liquid Metals". Proc 2nd Inst. Conf., Tokyo/ 1972 "London/1983, p. 507-512.

UDC 669.4

REFINEMENT OF METAL WITH THE HELP OF SLAG

C. Geguchadze, N. Kheladze, D. Kiria, N.Tevdoradze

Akaki Tsereteli State University, 59, Queen Tamaz str., Kutaisi, Georgia

Resume: During the melting process of silicon manganese there is formed a surplus amount of waste, which in some cases is much more, than the product itself, so the usage of the waste is quite important.

The aim of the performed work was enriching the waste (received during the melting process of silicon manganese) mainly the bucket crust with pneumatic method. About 10-15% of silicon manganese is lost during the production of silicon manganese by slag, among them 7-8% of formed metal (metal pieces and dribbles).

There is experimentally established, that effective fractional composition of the slag crust in phosphorus emission of silicon manganese is about 5-40mm. In case of using less, than 5mm slag crust, it rapidly floats on the metal surface. According to it, the phosphorus emission process is not very effective. More than 40mm fraction slag crust is less dissolved in the liquid metal, which has a negative influence on the phosphorus emission level of silicon manganese, as well as moving metal insertions in liquid state.

Key words: silicon manganese; slag; refinement; pneumatic separation; phosphorus emission.

УДК 669.4

РАФИНИРОВАНИЕ МЕТАЛЛА ШЛАКАМИ

Гегчадзе Ц.А., Хеладзе Н.Д., Кирия Д.А., Тевдорадзе Н.И.

Государственный университет Акакия Церетели, Грузия, Кутаиси, ул. Царицы Тамары, 59

Резюме: В процессе выплавки силикомарганца образуются в больших количествах отходы, которые зачастую превосходят количество основного продукта, поэтому большое значение приобретает использование этих отходов.

Целью представленной работы являлось обогащение отходов, полученных при плавке силикомарганца пневматическим методом. При производстве силикомарганца в виде шлаков теряется примерно 10-15% марганца, в том числе 7-8% в виде сформированного металла (осколки и капли металла).

Экспериментально установлено, что эффективно действующий на обесфосфоривание силикомарганца фракционный состав шлаковой корки находится в пределах 5-40 мм. При использовании шлаковой корки с размерами меньше 5 мм, происходит их быстрое всплытие на поверхность металла, вследствие чего уменьшается степень обесфосфоривания. Фракции шлаковой корки выше 40 мм плохо растворяются в жидком металле, что отрицательно влияет как на степень обесфосфоривания, так и на переход металлических включений в жидкое состояние.

Ключевые слова: силикомарганец; шлаки; рафинирование; пневматическая сепарация; обесфосфоривание.

გთხოვთ განაცხადოთ 16.06.14

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სექცია

უაკ 656.2

**უსიმოვლობიური კლიმატის ზორმირება საქართველოს სარპინიგზო
ტრანსპორტის მენეჯმენტი**

მ. ზუბიაშვილი, ნ. კიკნაძე*

ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 68^o

E-mail: n.kiknadze@alltours.ge

რეზიუმე: პოზიტიური მუშა ატმოსფეროს დამა-
ხასიათებელი საერთო წესების ფორმულირება
შეუძლებელია. ორგანიზაციის ატმოსფეროზე მოქ-
მედი კომპონენტები უამრავია. მათ შორის მნი-
შენებლოგანია ფსიქოლოგიური კლიმატი. გადა-
სახედია პრიორიტეტები და მიმართულებები, რო-
მლებიც არასწორადაა განსაზღვრული ჩვენი
ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების
კომპანიებსა და სატრანსპორტო ფირმებში.

საკვანძო სიტყვები: დაწესებულება; პოზი-
ტიური; კლიმატი; ფსიქოლოგიური; სოციალური;
ტრანსპორტი; სარკინიგზო; პრიორიტეტი; მენეჯ-
მენტი; კომუნიკაცია; ინფრასტრუქტურა; მართ-
ვის კულტურა; თანამშრომელი.

1. შესავალი

დაწესებულების მუშაკებს ყოველთვის ზუს-
ტად შეუძლიათ შეაფასონ თავიანთი ორგანი-
ზაციის კლიმატი. იმის ცოდნა, თუ როგორ
აფასებენ თანამშრომელები სიტუაციას სამსა-
ხურში, დაწესებულების ხელმძღვანელისათვის
სულერთი არ არის. ცუდი საწარმოო კლიმატი
ზრდის დანახარჯებს, ხელს უშლის მწარმოებ-
ლურობის ზრდას. კეთილსასურველი კლიმატი,
პირიქით, ქმნის პერსპექტივას.

პოზიტიური ატმოსფეროს დამახასიათებელი
საერთო წესების ფორმულირება შეუძლებელია.
ის, რაც კარგი და სწორია ერთი დაწესებუ-
ლებისათვის, არ მოგვცემს იგივე შედეგს სხვა
ორგანიზაციისათვის. დადასტურებულია, რომ
დაწესებულება, სადაც კეთილსასურველი კლიმა-
ტია, მუშა ძალის ბაზარზე კვალიფიციური

სპეციალისტებისათვის ინტერესს იწვევს. ასეთ
ორგანიზაციაში ბევრი მიისწოდების სამუშაოდ.
დაწესებულების ხელმძღვანელი უნდა ცდი-
ლობდეს შექმნას კეთილსასურველი კლიმატი.
ამის მიღწევა ძალიან რთულია. ორგანიზაციის
ატმოსფეროზე მოქმედი კომპონენტები ძალიან
ბევრია. ჩვეულებრივ, თითოეული ჩვენთაგა-
ნისათვის ფსიქოლოგიური კლიმატი თავს იჩენს
იმ დამოკიდებულებით, რომელიც მუშაობის პრო-
ცესში იქმნება თანამშრომელებს შორის, ხოლო
კოლექტივის ცხოვრებაში ის სუბიექტურად გა-
მოიხარება გრძნობით სხვადასხვა ასპექტში.

2. ძირითადი ნაწილი

მუშაკების სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლე-
ვის დროს გამოყოფენ მდგრებულებს, რომელთა
დახმარებითაც იქმნება შრომით კმაყოფილების
(ან უძმაყოფილების) გრძნობა. კმაყოფილება,
რომელიც მოაქმნებს შრომას, იმის შეგრძნება, რომ
აკეთებს საჭირო, სასარგებლო საქმეს, ძალიან
ბევრს იძლევა. დღეს ზოგიერთი ცდილობს გა-
აუფასუროს საერთო ადამიანური ფასეულობები,
აღნიშვნას, რომ ადამიანის შრომა შესაფერისად
არ ნაზღაურდება. მაგრამ საჭირო საქმის შემ-
სრულებელმა ადამიანებმა იციან, თუ რას
აკეთებენ თავიანთი ვალდებულების შესრუ-
ლების დროს.

ტრანსპორტზე დღეს სხვადასხვა პროფესიის
ადამიანები შრომობენ. მათ აერთიანებთ ის, რომ
აკეთებენ სასურველ საქმეს. ყველა პროფესიის
ადამიანი ერთნაირად დასაფასებელია: მოლარე,
სადგურის უფროსი, მძღოლი, მემანქანე, სა-
საუზმის თანამშრომელი. ყველა, საბოლოო
ანგარიშით, მუშაობს კონკრეტული ადამიანისა და
მთლიანად ქვეყნისათვის. იმის ცოდნა, რომ შენ

აკეთებ საჭირო საქმეს, თავს არომევ სასარგებლო საქმიანობას, ცოტას არ ნიშნავს. თუ ტრანსპორტის ან ნებისმიერი დარგის მუშაობის გაუმჯობესება გსურს, ეს საქმე უნდა გიყარდეს და გაინტერესებდეს.

კონკრეტულად, სარკინიგზო ტრანსპორტზე 13000 ადამიანია ის მთავარი დირექტულება, რომელიც ქმნის იმ პროდუქტს და მომსახურებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო რეინიგზისათვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ისინი საველე პირობებში მუშაობენ, თოთოვეული მათგანი (მემანქანე, ლიანდაგის მუშა, სხვადასხვა პროფესიის უამრავი ადამიანი) განსაკუთრებული მოწინებისა და პატივისცემის ღირსია.

გადასახედია პრიორიტეტები და მიმართულებები, მათ შორის ფინანსური მდგომარეობაც, რომელიც არასწორად იყო განსაზღვრული ტრანსპორტზე. ამ თვალსაზრისით, სატრანსპორტო ფირმა ჩაკეტილი ორგანიზაციიდან მთლიანად უნდა გადავიდეს თანამედროვე ბიზნესკორპორაციაზე, რომელიც გულისხმობს მარკეტინგს, კომუნიკაციას, საზოგადოებასთან ურთიერთობას. ამ მხრივ გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. იყო საქართველოს რეინიგზის განვითარების სტრატეგიის პირველი პრეზენტაცია. მთავრობისა და პარლამენტის წევრების, საზოგადოებისა და მედიის წინაშე დიად, საჯაროდ იქნა გამოტანილი კომპანიის განვითარების სტრატეგია და მიმდინარე მწვავე საკითხები. იყო დაპირებაც, რომ არ იარსებებს არც ერთი ტაბუდადებული თემა, დასურული საკითხი, რომელიც შეუვალი იქნება, თუ ის არ არის სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება. რეინიგზა არის სახელმწიფო კომპანია, საზოგადოებრივი მონაპოვარი, ქვეყნის გეოპოლიტიკური ინსტრუმენტი, არტერია და კულტურული აქტების უფლება, კულტურული იცოდეს მისი როგორც ფინანსური, ასევე უკედა სტრატეგიის შესახებ და პასუხი პქონდეს საჭირო კითხვებზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ ასპექტს. ადამიანი შრომის ანაზღაურებას იდებს, როგორც მისი შესაძლებლობის ადგევა-ტურ კომპენსაციას. კარგი ხელფასი და დამსახურებული ჯილდო მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომისაგან მიღებულ თვითქმაყოფილებაში. ფული, ასე თუ ისე, ქმნის უნივერსალურ მოტივაციას, თუმცა კულტურული კურსის კარგი ხელფასი არის შრომის წვლილის არა მარტო სამართლიანი შეფასება, არამედ დაცულობაც, იმედიანი ხვალინდელი დღე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მრავალ ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სოციალური ინფრასტრუქტურის მდგრადებები: საცხოვრებლით დაქმაყოფილება, სატრანსპორტო საშუალებები ადამიანების სამუშაო

ადგილამდე მისაყვანად, საბავშვო და სოციალური სფეროს სხვა დაწესებულებები. ორგანიზაციის შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია: თანამშრომლების უფასო კვება და მგზავრობა, სამედიცინო მომსახურება და დაცვენებით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური სიქოლოგიური ფაქტორები, მათი გავლენა ორგანიზაციის ატმოსფეროზე. გადამწყვეტ მომენტში საწარმოს კლიმატსა და ატმოსფეროს განსაზღვრავს ჯგუფის ან ქვედანაყოფის ხელმძღვანელი. თუ ის არაკომეტებულია, სუსტია, როგორც მმართველი, არასამართლიანია, არ შეუძლია ადამიანებთან მუშაობა, შეუძლებელია რომ მისი დაქვემდებარებულები თავს გრძელდნენ დამაჯრებლად და კომფორტულად. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელის ავტორიტეტი ეცემა. მისდამი დამოკიდებულება განსაზღვრავს ორგანიზაციისადმი დამოკიდებულებას.

ხელმძღვანელის მთავარი მისია თანამშრომელთა ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა. ფირმა, როგორც დიდი ოჯახი, ისე უნდა იმართებოდეს, რომ შეიძლებოდეს თანამშრომელთა უფლებების დაცვა, სოციალური პირობების და შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესება, თოთოეულს თავისუფლად უნდა შეუძლოს თავისი შეხედულების გამოთქმა და ორგანიზაციაში არსებულ პრობლემებზე მსჯელობა.

რეინიგზის ახალი მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებება თანამშრომელთა სოციალურ საკითხებზე ზრუნვა. უპანასკნელ პერიოდში თანამშრომელთა მოთხოვნების გათვალისწინებით გაიზარდა დამის, დასვენების და სადღესასწაულო დღეებში ნამუშევარი დროის ანაზღაურება, მიმდინარეობს მუშაობა სახელფასო ბადეზე, მირითად პროფესიებზე მოხდა ხელფასების მატება, არსებულ სადაზღვევო პაკეტთან ერთად ამოქმედდა კრიტიკული დაავადებების (კარდიოქირუგია, ონკოლოგია) დაფინანსების პროგრამა. ხაშურსა და სამტრედიის სასწავლო ცენტრებში განხორციელდა აბიტურიენტთა უფასო სწავლება უნარებსა და უცხო ქნებში, მოქმედებს პროფესიული განათლების უწყვეტობის წამახალისებელი პროგრამა, რეინიგზის თანამშრომლებს უფინასედებათ მაგისტრატურასა და დოქტორატურული სწავლების საფასური როგორც საქართველოს, ასევე უცხოების წამყვან უნივერსიტეტებში. ლოიალობის პროგრამით, საიუბილეურ თარიღით დაკავშირებით გაიცემა 200-ლარიანი, ბავშვის დაბადებისას 500-ლარიანი, ხოლო პირებს კლასში წასკლისას 50-ლარიანი ფულადი დახმარება. შვებულებებაში და პირველად პენსიაზე გასვლისას გაიცემა დამატებები შრომითი სტაჟის მიხედვით. ასევე გაიცემა ყოველთვიური დახ-

მარება ვეტერან რკინიგზელებზე. ამოქმედდა რეინიგზელთა შვილების წახალისების პროგრამა – თითოეულ წარჩინებით სკოლადამთავრებულს გადაეცემა ჯილდო 500 ლარი. სტრუქტურულ ერთეულებში მიმდინარეობს შრომის პირობების (საკვანძები, საშხაპები) მოწესრიგების პროცესი. კომპანია მუშაობს არსებული სამუშაო იარაღებისა და სპეციალსაცმლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის მენეჯმენტი მომავალ შიც გააგრძელებს მუშაობას სოციალური, შრომის ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად.

საწარმოო-ჰიგიენური პირობები პირდაპირ მოქმედებს პერსონალის შრომისუნარიანობაზე (განათება, ხმაური, ჰაერის დაბინძურება და სხვა ფაქტორები). საოფისე ავეჯი, საყოფაცხოვრებო სათავსების სისუფთავე, აღჭურვილობა გავლენას ახდენს თანამშრომლების განწყობაზე. შრომის პირობებს მიეკუთვნება აგრეთვე დანადგარები, სამუშაო აღგილების მოწყობილობანი და სხვა საშუალებანი. ხშირად ეს იწოდება, როგორც ერგონომიკული პირობები. თუ სამუშაო პირობები არადამაკმაყოფილებელია და ადამიანები ფლობენ მაღალ მოტივაციას, ისინი გარკვეული დროით შეიძლება დათანხმდნენ ცუდ პირობებს, მაგრამ მათი ენთუზიაზმით დაკავება მხოლოდ დრობითია.

საწარმო ატმოსფეროს განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი კომპონენტი ხელმძღვანელობის სტილი და მართვის კულტურის დონეა. სურვილითა და შესაბამისი ძალისხმევით ხელმძღვანელს კოლექტივში შეუძლია შექმნას საუკეთესო ატმოსფერო ან თანამშრომლების ცხოვრება გახადოს აუტანელი. ხელმძღვანელზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ არა უკელავერი. კოლექტივი შედგება არა მარტო ხელმძღვანელის, არამედ რიგითი თანამშრომლებისგანაც, რომელთაც პეთილ-სასურველი ატმოსფეროს შექმნით, ხელმძღვანელთან ერთად, შეუძლიათ გააუმჯობესონ შრომითი ატმოსფერო. ეს შესაძლებელია, თუ

თანამშრომლები ფლობენ ურთიერთშორის დამოკიდებულების ხელოვნებას.

3. დასკვნა

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოლექტივში ფსიქოლოგიურ კლიმატს ძირითადად პროფესიონალი მენეჯერი ქმნის. ორგანიზაციის წარმატებული მუშაობა მის გარეშე წარმოუდგენელია. მენეჯერის მომზადება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, რადგან იგი მრავალმხრივ განათლებული უნდა იყოს, კარგად იცოდეს იმ დარგის ეკონომიკა, ტექნიკური მდგრამარეობა, ტექნოლოგიური პროცესები, საფინანსო და საკრედიტო საკითხები, რომელსაც ემსახურება. ღრმად უნდა ერკვეოდეს პიროვნებათა შორის ურთიერთობებში, ფლობდეს უცხო ენებს, პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის ნიუანსებს.

ახალ პირობებში მენეჯერთა მომზადება სერიოზულ მიღვომას მოითხოვს. წარმატების მიღწევა ახლებურად აზროვნებას საჭიროებს. მმართველობით საქმიანობაში ჩაბმული ნებისმიერი პირი ახალი მოთხოვნების შესაბამის ჩვევებს უნდა ფლობდეს, ინფორმაციის ანალიზი და შეფასება უნდა შევძლოს.

საჭიროა დაინერგოს ხელმძღვანელობის ის სტილი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში ხელკვეთების ჩაბმას გულისხმობს, ავტორიტარული ხელმძღვანელობის სტილი მიუღებელია.

ლიტერატურა

1. ლაკიშევა О.М. Менеджмент на железнодорожном транспорте. Учебное пособие. Москва, 2002.
2. მ. ტუღუში, ნ. ყირიმლიშვილი. მენეჯმენტის საფუძვლები. ლექციების კურსი. თბილისი, 2003.
3. საქართველოს რკინიგზა // გაზეთი სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებისათვის. პირველი და მეორე გამოცემა.

UDC 656.2

FORMATION OF THE PSYCHOLOGICAL CLIMATE IN THE MANAGEMENT OF THE GEORGIAN RAILWAY TRANSPORTATION

M. Zubiashvili, N. Kiknadze

Department of transport and mechanical engineering management, Georgian Technical University, 68^a, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: The general rules applicable to a positive work atmosphere are impossible to formulate. There are a lot of components affecting an atmosphere of the organization, including psychological climate.

Many priorities and goals, which incorrectly were and are determined in several companies of the national economy including transportation companies, need to be revised.

Key words: institution; positive; climate; psychological social; transport; railway; priority management; communication; infrastructure; management culture; collaborator.

УДК 656.2

ФОРМИРОВАНИЕ ПСИХОЛОГИЧЕСКОГО КЛИМАТА В ЖЕЛЕЗНОДОРОЖНОМ ТРАНСПОРТНОМ МЕНЕДЖМЕНТЕ ГРУЗИИ

Зубиашвили М.Г., Кикнадзе Н.Т.

Департамент менеджмента транспорта и машиностроения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68^a

Резюме: Формулирование характеризующих общих законов позитивной рабочей среды невозможно. На атмосферу организации действует масса факторов. Среди них значительный – психологический климат.

Требует пересмотра ряд приоритетов и направлений, которые неправильно определены в отдельных отраслевых компаниях национального хозяйства и среди них в транспортных фирмах.

Ключевые слова: предприятие; позитивный; климат; психологический; социальный; железнодорожный транспорт; коммуникация; инфраструктура; культура управления; сотрудник.

თიღებულია დასაბუქდად 11.07.14

УДК 565.2

ერთიანი სატრანსპორტო ეპრაზიული დერევნის შემართებელი კორიდორი და „საქართველოს რკინიგზა“

მ. ზუბიაშვილი, ნ. კიკნაძე*

ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 68^a

E-mail: n.kiknadze@alltours.ge

რეზიუმე: სახელმწიფოს მშენებლობის სრულიად განსხვავებულმა პროცესებმა და ახალმა მოთხოვნებმა ურთელესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანები დაუსახა საქართველოს, რომელიც წარმატებული როლის დამკაიდრებას აგრძელებს მსოფლიოს ქვეყანათათანამეგობრობაში. წარმოდგენილია წინადაღება, რომ ამ მიმართულებით სატრანსპორტო კომპანიის წარმატებული და ეფექტუანი საქმია-

ნობისათვის მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიური მიზანი, სატრანსპორტო ხარჯის მინიმუმის დაუზინა და სატარიფო პოლიტიკის კორექტირება, რათა ის იური უფრო მოქნილი და მიესადაგებოდეს მსოფლიოს და რეგიონის ეკონომიკურ კონიუნქტურას.

საკანდო სიტყვები: ტრასეკა; სტრატეგია; ინტეგრირება; კორიდორი; პოტენციალი; გლობალური; ინფრასტრუქტურა; მაგისტრალი; ტრან-

სფორმირება; მულტიმედიალური; ტვირთნაკადი; ალტერნატიული; ტერმინალი; ბილინგის სისტემა; ბიუჯეტი; გეოპოლიტიკური.

1. შესავალი

ტრასექას საქართველოს მონაცემის მიმდინარე და პერსპექტიული განვითარების შეფასებით შეიძლება ითვას, რომ საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრირების სტრატეგიამდე მივყევართ.

რკინიგზა, როგორც სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თავისი სატრანზიტო ფუნქცია შეასრულოს.

რკინიგზის ტრანსპორტი, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი ძარღი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული მუშაობის განვითარების ეფექტურობას.

იმისათვის, რომ სარკინიგზო ტრანსპორტის საქმიანობა უფრო წარმატებული იყოს, ახალი ტექნიკის მოზიდვის მიზნით სისტემატიკურად წარმოებს მოლაპარაკება სხვადასხვა ქვეყანასთან. მიმდინარე წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 13%-ით მოიმატა შემოსავალმა და მნიშვნელოვნად გაიზარდა წმინდა მოგება.

2. ძირითადი ნაწილი

საქართველოს ახალ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში საზოგადოებრივი განვითარების პრინციპულად განსხვავებული პირობები შექმნა. ქვეყანას შესაძლებლობა მიეცა მაქსიმალურად გამოიყენოს საპუთარი ბუნებრივი და პოლიტიკური პოტენციალი.

საქართველო აგრძელებს ახალი როლის დამკაიდრებას მსოფლიოს ქვეყანათა თანამეგობრობაში. ცვლილებათა ამ ფონზე მიმდინარეობს სახელმწიფოს პოლიტიკურ და აღმასრულებელ სისტემათა ფუნქციების გადანაწილება, მართვის სრულიად განსხვავებული სისტემის ჩამოყალიბება. პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების ახალ გარემოში მიმდინარეობს ქვეყნის მეურნეობის სტრუქტურის რეორგანიზაცია. ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი ფორმები სრულიად განსხვავებული ხასიათის მოთხოვნებს უყენებს ქვეყნის სატრანსპორტო სისტემას.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველო მსოფლიოს გლობალურ გეოსტრატეგიულ ინტერესთა სფეროში მოაქცია. მას შესაძლებლობა მიეცა ეფექტურად ჩაერთოს საერთაშორისო შრომის დანაწილებაში, რაც ქვეყნის განვითარებისათვის გადამზუვებია. სახელმწიფოს მშენებლობის სრულიად განსხვავებულმა პროცესებმა საქართველოს ურთულესი

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანები დაუსახა. იგი აგრძელებს საზოგადოებრივი სისტემის რადიკალურ გარდაქმნას, აყალიბებს ახალი ტიპის პოლიტიკურ წერძას და ეკონომიკურ სისტემას. ამ ფუნდამენტური მიზნების რეალიზაციაში საქართველოს სატრანსპორტო სისტემას განსაკუთრებული როლი ენიჭება.

ტრანსპორტს, როგორც ეკონომიკური ინფრასტრუქტურის უაღრესად მწარმოებლურ დარგს, უდიდესი წვლილი შეაქვს ეროვნული პროდუქტის შექმნაში, იგი ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური ყოფის ინტეგრაციის უმნიშვნელოვანების პირობას ქმნის.

საქართველო, როგორც სატრანსპორტო დურეფანი, დღემდე წარმოდგებოდა საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტით, რომლის ძირითადი მაგისტრალი ფოთიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე აღჭურვილი იყო თანამედროვე სარკინიგზო მოწყობილობებით.

მაგისტრალი მინეულია დასავლეთ-აღმოსავლეთის შემადგენელ ნაწილად. „საქართველოს რკინიგზა“ მთელი სატრანსპორტო დერეფნის ერთი კომპონენტია. ეს დერეფანი იწყება შეაზიიდან, მოიცავს ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებს – ყაზახეთს და თურქენეთს და სხვა სახელმწიფოებს. ამ დერეფნით (კასპიის ზღვის გავლით) ეს რესურსი მოძრაობს სამხრეთ კავკასიაში და შევი ზღვის გავლით მიეწოდება ევროპულ ბაზრებს, დასავლეური და თურქელი პროდუქტი კი ამავე დერეფნით მიემართება შეაზიის ქვეყნებისაკენ. ერთიანი სატრანსპორტო ეკრაზიული დერეფნის აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელი კორიდორის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი რკინიგზაა. ევლა ეს პრიორიტეტი უნდა ემსახურებოდეს იმ მთავარ მიზანსა და დანიშნულებას, რომ ჩვენი დერეფნანი მიმდიდველი და კონკურენტუნარიანი იყოს სხვა ეკრაზიულ დერეფნებთან შედარებით. საქართველოს დერეფანი ყველაზე მოკლე, სწრაფი და კომფორტულია.

„საქართველოს რკინიგზაში“ აირჩია განვითარების სტრატეგია და მოკლე ვადაში მულტიმედიალური გადაზიდვის კომანიდად ჩამოყალიბდა. ის აქტიურად განიხილავს შესაძლებლობას, განახორციელოს ინტეგრაცია საბორნე გადასასვლელის სექტორში, დამტკიცებული აქვს სატერმინალო ბიზნესში შესვლის გეგმაც, რათა გააძლიეროს რკინიგზის კონკურენტული უპირატესობა. „საქართველოს რკინიგზა“ გეგმას, რომ მომავალ წელს მკვეთრად გაიზრდება ტერიტორიაზე, ნაწილობრივ შეიცვლება სატრანსპორტის მიზანი, მოხდება მოდერნიზაცია და ჩვენი დერეფნანი გაცილებით მიმზიდველი გახდება გადამზიდი კომპანიებისთვისაც.

რკინიგზა, როგორც სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ დერეფანი სატრანზიტო

უზნებია შეასრულოს. ეს მისია უნდა შეასრულოს პორტებმაც, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გადამზიდ კომპანიებს გაუროტულდება საქმიანობა. იგვევ უნდა ითქას საავტომობილო და ავიაგადაზიდვების შესახებაც, რაც რეტინგზეს პერსპექტიულს გახდის და ბიზნესსა და გადამზიდ კომპანიებს შეუქმნის პირობებს, რათა მათთვის ტვირთის გადაზიდვა კომფორტული, სწრაფი და იაფი გახდეს. სატრანსპორტო პორტეციალის ზრდისა და განვითარების საქმეში მთავრი ძალა უნდა იყოს „საქართველოს ოპინიგზა“, მისი ინფრასტრუქტურა, მოძრავი შემადგენლობის განვითარება და სწორი და ადეკვატური სტრატეგია. ამასთან, საჭიროა კორექტირება სატარიფო პოლიტიკაში ისე, რომ ის იყოს მოქნილი და მიესადაგებოდეს მსოფლიოს და რეგიონის ეკონომიკურ კონუნჯებურას.

ეზაქეთთან მუშაობა მიმდინარეობს მშრალი ტვირთის მოსაზიდად. საქმე ეხება ხორბლის გადაზიდვას ალტერნატიული კორიდორის (ტრასეკას) მიმართულებით. ამ მარცვლეულს გადაზიდვები ფოთის პორტის გავლით, სადაც გაიხსნა მე-15 ნაგმისადგომი, რომელიც მოემსახურება ხორბლის გადამზიდებს. მუშაობები უზბეკეთიდან ბამბის შემოტანის განახლებისთვის, ასევე სომხეთიდან ისეთი ტვირთის გადაზიდვის საკითხზე, როგორიცაა რკინის მადანი და ფერადი ლითონის კონცენტრატი.

2014 წლისათვის გაიზრდება როგორც თხევადი, ისე მშრალი ტვირთის რაოდენობა. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკება აზერბაიჯანთან გამჭვილი ტარიფის დაწესებაში ისეთი ტვირთისათვის, როგორიცაა ავდანეთიდან სამხედრო ტექნიკა, უზბეკეთიდან – ბამბა, ხორბალი, ნახშირი. მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში სარკინიგზო გადაზიდვები საგრძნობლად გაიზრდება. ამ წლის გეგმა ასევე ითვალისწინებს ბათუმის სადგურის სატვირთო ეზოში საბაჟო ტერმინალის მოწყობას თურქეთიდან (სარფის საბაჟო) შემოსული საავტომობილო ტვირთის ვაგონებში გადასატანად. ყოველივე ეს რამდენიმე ასეველი ტონით გაზრდის რკინიგზის გადაზიდვებს.

„საქართველოს რკინიგზი“ საკუთარი, ინფრასტრუქტურის ფილიალისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოს რესურსით დაიწყო ელექტრომობარაგების ბილინგის სისტემის დანერგვა. ეს არის ერთ-ერთი სტრატეგიული პროექტი რკინიგზისათვის და სამ ფაზას მოიცავს. პროექტი, რომელიც გაამარტივებს სამატარებლო მუშაობას, არის გარკვეული ინფრასტრუქტურული შეზღუდვების ელექტრონული სისტემის შექმნა. პირველ ეტაპზე ეს, გაფრთხილების გაცემის წესში, მნიშვნელოვან ცელიდებებს მოიცავს. ამჟამად ეს პროცედურა საქმაოდ რთულია და სამატარებლო მუშაობაში დროისა და შორმის დანაკარგებს იწვევს.

გარდა ამისა, წელსვე დაიწყო ლიანდაგის პასპორტის ელექტრონული სისტემის შექმნაზე მუშაობა, რომელიც სამომავლოდ სინქრონიზებული იქნება სატვირთო გადაზიდვების სისტემასთან. ეს უზრუნველყოფს კონკრეტული კონკრეტული ტვირთის რაოდენობის ზუსტადრიცვას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის კომპონენტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სწორ დაგეგმვას.

მუშაობა დაწყებულია ქსელის განაწესის შექმნაზე. ეს არის დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია სარკინიგზო ქსელის შესახებ (მანძილის, გამტარუნარიანობის, სატვირთო და სამგზავრო მოძრაობის მოცულობის და სიმძლავრეების შესახებ და ა.შ.) და წარმოდგენას უქმნის პორტული კლიენტებს, თუ როგორ რკინიგზასთან ექნება შეხება.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან მედარებით (პირველი და მეორე კვარტალი), წელს მნიშვნელოვნად მოიმატა „საქართველოს რკინიგზაზე“ მიმდინარე სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა და 84 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია ტარიფების ზრდითა და მთლიანად გადაზიდულ ტვირთში ნავთობის და ნავთობპროდუქტების წილის მატებით. შემცირდა მოძრავი შემადგენლობის იჯარიდან მიღებული შემოსავალი. ამის მიზნია თურქმენეთის მიერ დოკომეტივების შექნა და „საქართველოს რკინიგზის“ ვაგონების მათ ტერიტორიაზე ბრუნვის დაწერება.

ახალი მენეჯმენტის კონტროლით შემცირდა ისეთი მნიშვნელოვნანი ხარჯები, როგორიცაა ელექტროენერგიის, საწვავისა და საოპერაციო, რაც გამოწვეულია ოპტიმიზაცია, რისთვისაც კომანიის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის რეალობა, რომელიც მაღალ დადგება ახალი გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად. სახელდობრ, 2015 წლისათვის დაგეგმილი სომხეთ-ირანის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა (ამ პროექტის მთავარი მონაწილე მხარე რუსეთის ფედერაცია) მის ოპერატორულ მმართველობაშია სომხეთის რკინიგზა სპარსეთის უკრის ანდარ ბას-ის პორტებზე – ისტორიულად არსებული პირდაპირი გასასვლელი ინდოეთის ოკეანზე) და მარაბდა კრწანისის გადასარტები ქალაქ ყარსამდევ, რომლის დამთავრება 2014 წლისთვისაა ნავარაუდევი.

ლიტერატურა

1. ლ. ზაალიშვილი. საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში. „ავტორეფერაციი. თბილისი, 2003.
2. საქართველოს კანონი ტრანსპორტის სახელმწიფო სამინისტროს მიერ 1995 წლის 2 მარტის და რეგულირების შესახებ.
3. საქართველოს რკინიგზა // გაზეთი სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებისათვის. პირველი გამოცემა.

UDC 565.2**EURASIAN CONNECTIVE UNITED TRANSPORT CORRIDOR AND RAILWAY OF GEORGIA****M. Zubiashvili, N. Kiknadze**

Department of transport and mechanical engineering management, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Quite different process and new demands of the state construction complicated the social – economic and political tasks for Georgia. It continues consolidation of its successful role within the world countries collaboration.

There is presented the collaboration proposal that in this direction it is important for the transport company successful and efficacious activity to draw new loads, minimizing the expenditure and correct the tariff politics. As a result it becomes more elastic and adequate to the world and regional economic conjuncture.

Key words: traceca; strategy; integration; corridor potential; global; infrastructure; main transformation; multi-modal; goods traffic alternate; terminal; biling system; budget; gespolitical.

УДК 565.2**СОЕДИНİТЕЛЬНЫЙ ЕВРАЗИЙСКИЙ ТРАНСПОРТНЫЙ КОРИДОР И «ЖЕЛЕЗНАЯ ДОРОГА ГРУЗИИ»****Зубиашвили М.Г., Кикнадзе Н.Т.**

Департамент менеджмента транспорта и машиностроения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Совершено разнообразные процессы и новые требования в государственном строительстве поставили перед Грузией тяжелые социально-экономические и политические задачи. Она продолжает утверждать свою успешную роль в мировом содружестве стран.

Для успешной и эффективной работы компаний важны привлечение новых грузопотоков, минимализация и корректировка расходов в тарифной политике, чтобы она была более гибкой и соответствовала мировой и региональной экономической конъюнктуре.

Ключевые слова: Трасека; стратегия; интегрирование; потенциал; глобальный; инфраструктура; магистраль; трансформация; грузопоток; мультимодальный; альтернативный; терминал; система билинга; бюджет; геополитический.

მიღებულია დასაბუქდად 02.07.10

უაგ 621.512/513**ახალი პონტიფიცია პომარესორის მუშაობის გაუმჯობესებისათვის**

თ. მეგრელიძე*, ვ. დვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, თ. ისაკაძე, გ. ბერუაშვილი
კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,
თბილისი, მ. ქოსტავას 68^o

E-mail: tmegrelidze@yahoo.com

რეზიუმე: განხილულია დგუშიანი კომპრესორების ნაკლოვანი მხარეები. აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით შემოთავაზებულია ახალი კომპესორის პრინციპული სქემა, რომლის კორპუსის ორ დრეკად მებბრანას შორის მოთავსებულია მაგნიტური სითხე. ახალი კონსტრუქცია უზრუნველყოფს კომპრესორის მუშა მექანიზმების გამარტივებას და მუშაობის ხანგრძლივობის გადიდებას.

საკვანძო სიტყვები: დგუშიანი კომპრესორი; პრინციპული სქემა; კონსტრუქცია; მუშაობის ხანგრძლივობა; მაგნიტური სითხე.

1. შესავალი

მაცივარ მანქანებში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ტიპის კომპრესორები (დგუშიანი, როტაციული, ხრახნული და სხვა). შეიძლება ითქვას, რომ კომპრესორებს შორის ყველაზე ფართო გავრცელება დგუშიანმა კომპრესორებმა პოვა. ეს განპირობებულია დგუშიანი კომპრესორებისათვის დამახასიათებელი ისეთი დადებითი მხარეებით, როგორიცაა კონსტრუქციის სიმარტივე, ძირითადი მუშა პარამეტრების (სიცივის მწარმოებლურობა, დაჭირების წნევა) მარტივად რეგულირების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, დგუშიანი კომპრესორები ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისგან. ამიტომ, მათი კონსტრუქციის დახვეწია და სრულყოფა ჯერ კიდევ ინტენსიურად მიმდინარეობს.

2. ძირითადი ნაწილი


თანამედროვე პირობებში კონსტრუქტორებისა და მეცნიერების მიზანია დგუშიანი კომპრესორების ისეთი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, როგორიცაა შედარებით დიდი გაბარიტები და წონა, დგუშ-ბარბაცა მექანიზმის წინსვლით-უკუსვლითი მოძრაობით გამოწვეული ინერციის ძალის სრული გაწონასწორების შეუძლებლობა, დეტალების

მოძრაობით გამოწვეული ინტენსიური ცვეთა, რაც განაპირობებს მომსახურების სირთულეს და ექსპლუატაციაში მანქანის არასამედოობას, დეტალების მორგებისას დიდი სიზუსტის დაცვის აუცილებლობას, რაც დამზადების და რემონტის სირთულეს განაპირობებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი ნაკლი, როგორიცაა კომპრესორის მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირის გაზრდის შეუძლებლობა. მუხლა ლილვი დაკავშირებულია დგუშ-ბარბაცა მექანიზმთან, რის გამოც მისი ბრუნვის სიხშირის გაზრდა პირდაპირად დაკავშირებული წინსვლით-უკუსვლითი მოძრაობით გამოწვეული ინერციის ძალების ზრდასთან; იზრდება აგრეთვე დეტალების ხახუნით გამოწვეული ცვეთა და მოხახუნებული ინტენსიური მოძრაობის ტემპერატურა. მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირის ნებისმიერად გაზრდის შეუძლებლობა შესაბამისად ზღუდავს კომპრესორის მწარმოებლურობას.

გარდა ამისა, დგუშიანი კომპრესორის ცილინდრსა და დგუშს შორის აუცილებელი ხდება კომპრესიული და ზეთის მომცილებელი რგოლების დაყენება. მაგრამ ეს რგოლები მაინც ვერ გამორიცხავს დაჭირებული მუშა აგენტის გაპარვას ცილინდრსა და დგუშს შორის არსებული ღრეულის გავლით კარტურში. მეორე მხრივ, ადგილი აქვს ზეთის ხშირ მოხვედრას ცილინდრის შიგა ზედაპირიდან დაჭირებულ მუშა აგენტში. საჭიროა მუშა აგენტის კონტურში ზეთის მომცილებელი დამატებითი სისტემების მოწყობა, რაც აძვირებს კონსტრუქციას და დამატებით წინადაღებების ქმნის მუშა აგენტის კონტურში.

აღნიშნული ნაკლოვანი მხარეების გამოსახურებლად დამუშავებულია კომპრესორის ახალი კონსტრუქცია [1], რომელიც გამოიყენება სამაცივრო მანქანებსა და დანადგარებში სხვადასხვა მუშა აგენტის, აგრეთვე პაერის და სითხეების შეუძლებელისა და გადაადგილებისათვის.

კომპრესორის პრინციპული სქემა წარმოდგნილია 1-ელ ნახ-ზე.



ნახ. 1. კომპრესორის პრინციპული სქემა

კომპრესორი შეიცავს ცილინდრს 1, რომელიც ორივე ტორსული მხრიდან დახურულია სახურავებით 2,3. ცილინდრი 1 დამზადებულია არა-მაგნიტური მასალისგან, ხოლო სახურავები 2,3 ისეთი მასალისგან, რომელსაც არ ახასიათებს ნარჩენი მაგნიტიზმი. ორივე სახურავი 2 და 3 აღჭურვილია შემწოვი 4,5 და დამჭირების 6,7 სარქველებით. აღნიშნული დამჭირების სარქველების 6,7 გავლით სახურავები 2,3 დაკავშირებულია დამჭირების 6,7 მილგაუგანილობასთან 8. შემწოვი სარქველების 4,5 გავლით სახურავები 2,3 დაკავშირებულია შემწოვი მილგაუგანილობასთან 9. ცილინდრს 1 და სახურავებს 2,3 შორის ორივე მხრიდან განლაგებულია დრეკადი მემბრანები 10,11, რომლებიც ცილინდრის 1 შიგნით ერთმანეთთან დაკავშირებულია სახსრულად, მაგალითად, ბაგირით 12. მემბრანები 10,11 დამზადებულია დრეკადი მასალისგან, მაგალითად, რეზინისაგან. მემბრანებს 10,11 შორის სივრცე 13 შევსებულია მისი მოცულობის 50–60% მოცულობის მაგნიტური სითხით. ორივე სახურავის 2,3 შიგა ზედაპირების პროფილი გაღუნულ მდგომარეობაში მყოფი მემბრანების 10,11 გარე ზედაპირების პროფილის. კოაქსიალურია. ამასთან, მანძილი სახურავების 2,3 შიგა ზედაპირებისა და გაღუნულ მდგომარეობაში მყოფი მემბრანების 10,11 გარე ზედაპირებს შორის ნაკლებია ამ მემბრანების 10,11 მასიმალური გაღუნვის მანძილზე. სახურავების 2,3 გარე ზედაპირებზე განლაგებულია ელექტრომაგნიტის სხვადასხვა დასახელების პოლუსები 14,15, რომლებიც ელექტრული კვების წყაროსთანაა მიერთებული (ნახაზზე პირობით ნაჩვენები არა).

კომპრესორი შემდეგნაირად მუშაობს: ელექტრული კვების წყაროსგან (ნახაზზე პირობით ნაჩვენები არა) ელექტრომაგნიტის სხვადასხვა დასახელების პოლუსებზე 14,15 მიეწოდება დენი, რომელიც იწვევს მათში თანამიმდევრობით, პერიოდული მიზიდულობის ძალების აღდევას. როდესაც მიზიდულობის ძალა აღიძვრება პოლუსზე 14,

მეორე პოლუსზე 15 მიზიდულობის ძალა არ გავაქვს. ამის შედეგად ხდება სივრცეში 13 არსებული მაგნიტური სითხის მიზიდვა პოლუსისაკენ 14 და, შესაბამისად, სახურავისკენ 2. ამის გამო, მაგნიტური სითხე მიაწვება მემბრანას 10, გაღუნავს მას და მიაჭირს სახურავის 2 შიგა ზედაპირზე. რადგან მემბრანის 10 გარე ზედაპირი კოაქსიალურია, მანძილი სახურავის 2 შიგა ზედაპირსა და გაღუნულ მდგომარეობაში მყოფი მემბრანის 10 გარე ზედაპირს შორის ნაკლებია ამ მემბრანის 10 მასიმალური გაღუნვის მანძილზე, ამიტომ მემბრანა 10 მოლიანად მიეჭირება სახურავის 2 შიგა ზედაპირს ისე, რომ მათ შორის აირის დარჩენას გამორიცხავს.

როდესაც მიზიდულობის ძალა აღიძვრება მეორე პოლუსზე 15, ამ დროს პირველ პოლუსზე 14 მიზიდულობის ძალა გაქრება. შედეგად სივრცეში 13 არსებული მაგნიტური სითხე უკვე მიიზიდება მეორე პოლუსისკენ 15 და, შესაბამისად, მეორე სახურავისკენ 3. მაგნიტური სითხე ამ შემთხვევაში მიაწვება მეორე მემბრანას 11, გაღუნავს მას და მიაჭირს სახურავის 3 შიგა ზედაპირზე ისე, რომ მათს შორის აირის დარჩენა გამოირიცხოს. მაგრამ მემბრანა 11 სახსრულად 12 დაკავშირებულია პირველ მემბრანასთან 10, ამიტომ მემბრანის 11 გაღუნვა მარცხნიდან მარჯვნივ განაპირობებს მასთან დაკავშირებული მემბრანის 10 ანალოგიურ გაღუნვას მარცხნიდან მარჯვნივ. მემბრანის 10 ასეთი გაღუნვა იწვევს ამ მემბრანასა 10 და სახურავს 2 შორის გაცუუმის წარმოქმნას, რის სარჯეც ისსნება შემწოვი სარქველი 5 და შემწოვი მილგაუგანილობიდან 9 ხდება მუშა სხეულის შეწოვა სახურავსა 2 და მემბრანას 10 შორის წარმოქმნილ სივრცეში.

როდესაც მიზიდულობის ძალა კვლავ აღიძვრება პირველ პოლუსზე 14, მაგნიტური სითხე კვლავ მიიზიდება სახურავისკენ 2 და მემბრანას 10 მიაჭირს სახურავის 2 შიგა ზედაპირზე. ამის შედეგად სახურავსა 2 და მემბრანას 10 შორის არსებული სივრცე მცირდება ნულამდე და, შესაბამისად, ადგილი აქვს ამ სივრცეში არსებული მუშა სხეულის დაჭირებნას. დაძრული წნევის ძალის ზემოქმედებით შემწოვი სარქველი 5 იკეტება და სამაგიეროდ ისსნება დამჭირები სარქველი 7, რომლის გავლით მუშა სხეული დაიჭირება დამჭირები მილგაუგანილობაში 8. აღწერილი მემბრანის 10 გადაადგილება მარჯვნიდან მარცხნივ იწვევს მასთან სახსრულად 12 დაკავშირებული მეორე მემბრანის 11 გადაადგილებას ასევე მარჯვნიდან მარცხნივ და ამ მემბრანასა 11 და მეორე სახურავს 3 შორის გაცუუმის გაჩენას, რაც განაპირობებს აღნიშნულ სივრცეში მუშა სხეულის შეწოვას შემწოვი


მილგაყვანილობიდან 9 შემწოვი სარქვლის 4 გავლით.

შეძეგ მიზიდულობის ძალა კვლავ აღიძვრება მეორე პოლუსზე 15 და პროცესი მეორდება. შესაბამისად, ელექტრომაგნიტურ პოლუსებზე 14,15 მიზიდულობის ძალების ცვლილება განაპირობებს მაგნიტური სითხის მიერ მემბრანებზე 10,11 პერიოდული დაწოლის შედეგად სახურავებში 2,3 ვაკუუმისა და მაღალი წნევის პერიოდულ ცვლილებას. ეს კი განაპირობებს აღნიშნულ სახურავებსა 2,3 და მემბრანებს 10,11 შორის მუშა სხეულის პერიოდულ შეწოვასა და დაჭირხნას შემწოვი 4,5 და დამჭირხნი 6,7 სარქვლების გავლით, შემწოვ 9 და დამჭირხნ 8 მილგაყვანილობებში.

კომპრესორის ელექტრული კვების ბლოკის პრინციპული სქემა წარმოდგენილია მე-2 ნახ-ზე.

კომპრესორის კვების ბლოკი სოლენიდია (ელექტრომაგნიტური რელე), რომლის შემავალი კონტაქტებია 1 და 2, ხოლო გამომავალი – 4 და 3. ჩვეულებრივ შემთხვევაში რელე ცვლადი დენის ქსელში ჩაირთვება შემავალი კონტაქტებით. რელეს ჩართვის მოქნებში ელექტრომაგნიტური ინდუქციის საფუძველზე გამომავალი კონტაქტები გაითოშება.

ჩვენ შემთხვევაში რელე ჩაირთვება ქსელში კონტაქტებით 1, 4. შესაბამისად, წრედს ექნება 1-2-3-4 სახ. კონტაქტების 3, 4 განრთვისას ქსელში დენი წყდება და კონტაქტები 3, 4 მექანიზური ზემოქმედების შედეგად კვლავ აღმოჩნდება მოდებაში. ეს ისევ გამოიწვევს წრედის შეკვრას და შემდეგ პროცესი მეორდება.



ნახ. 2. კომპრესორის კვების ბლოკის სქემა
1-გამომავალი კონტაქტები, 2-რელეს კორპუსი

აღნიშნული პროცესი განაპირობებს კომპრესორის პოლუსების რიგრიგობით ჩართვას.

3. დასკვნა

კომპრესორის წარმოდგენილი კონსტრუქცია უზრუნველყოფს მუშა სხეულის შეწოვას, მისთვის მაღალი წნევის მინიჭებას და დაჭირხნას შესაბამის მილგაყვანილობაში. ამასთან, არ მოიხვეს მექანიზური გადაცემების გამოყენებას, რაც ადიდებს მის ცვეთამცველობას და ამაღლებს მუშაობის ხანგრძლივობას. კომპრესორი ძალზე მარტივი კონსტრუქციით ხასიათდება. ამასთან, კომპრესორი ორმაგი ქმედებისაა, რადგან პოლუსებზე დენის მიწოდების ერთი ციკლის განმაჭლობაში აქ ხორციელდება მუშა სხეულის შეწოვისა და დაჭირხნის ორი ციკლი, რომლებიც მიმდინარეობს პარალელურად კომპრესორის ცილინდრის ორივე სახურავში. ეს იძლევა კომპრესორის მწარმოებლურობის გადიდების შესაძლებლობას.

შეიძლება დამატებით ითქვას, რომ წარმოდგენილი კონსტრუქცია თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ტემპო, რომელიც განახორციელებს სითხეების გადატუმბვას.

ლიტერატურა

- თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, ს. სულაძე, გ. გუბულაშვილი, გ. გოლეთიანი, ა. ტევნაძე, გ. კვირიკაშვილი, ზ. ომიაძე. მაცივარი მანქანები (დგუშიანი კომპრესორები). თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009 წ. გვ. 52-53.
- თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. ბერუაშვილი, ი. ფოჩხიძე, გ. გოლეთიანი, გ. კვირიკაშვილი, გ. გუბულაშვილი. მაცივარი მანქანების თბური გაანგარიშება. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007. – 97 გვ.
- თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. ბერუაშვილი, ი. ფოჩხიძე, გ. გოლეთიანი, გ. კვირიკაშვილი, ზ. ომიაძე. სამაცივრო ტექნიკა (საქოფაცხოვრებო მაცივრები). თბილისი, 2008. – 144 გვ.
- თ. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, თ. გუბულაშვილი, გ. მეგრელიძე, ლ. გუბულაშვილი, გ. გუბულაშვილი. სატრანსპორტო საშუალების სამაცივრო მოწყობილობა. საპატენტო სიგელი № GE P 5075 B. 09.10.2010 წ. კლასი F 25 B 27/02, B 60 P 3/20.
